კანონი

10 03 21
02

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის

ქ. ზუგდიდი 10 მარტი 2021 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ზუგდიდ მუნიციპალიტეტის მერის გიორგი შენგელიას (იურიდიული მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველ ქ.№90, საიდენტიფიკაციო კოდი:220418956) სახით (შემდგომში „პირველ მხარე“–დ წოდებული) მეორე მხრივ, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“, წარმოდგენელი სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფი დირექტორის ვახტანგ ბერიშვილის სახით (შემდგომში „მეორე მხარე“–დ წოდებული), საქართველ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე მემორანდ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

### მუხლი 1.მემორანდუმის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

### მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

2.1.წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა პატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

### მუხლი 3. მემორანდუმის მიზანი

3.1.წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ურთიერთთანამშრომლობის გზით ზუგდიდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებით მძიმე სოციალურა დაუცველი (სარეიტინგო ქულა 35001) მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერა დ უზრუნველყოფა.

### მუხლი 4. მხარეთა ამოცანები

4.1.ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია თანახმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში (ქვეპროგრამის კოდი 06 02 11) დააფინანსოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ განსაკუთრებით მძიმე სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 35001-ზე ნაკლები ოჯახისათვის გაზგამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების ღირებულება.

4.2. მეორე მხარე შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ ვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგზავნილი დოკუმენტაციის (მოქალაქეთა განცხადებების ერთობლივი სია) შესაბამისად მოახდინოს თითოეული ოჯახის გაზიფიცირების საკითხის შესწავლის და დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეასრულოს სამუშაოები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და ვადების შესაბამისად

## მუხლი 5. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

5.1.მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი და ცალკეული ღონისძიებები განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მემორანდუმი შესაძლებელია ჩასწორდეს, ან შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

5.3. მემორანდუმი ძალაში შედის ყველა მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

5.4. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში (კანცელარია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური) ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მეორე მხარეს.

### მხარეთა რეკვიზიტები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 220418956
მის.ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90

გიორგი შენგელია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“,
საიდენტ.კოდი :202403121
ქ. თბილისი, 300 აბაგელარის 24

ვახტანგ ბერიშვილი

შპს“ სოკარ ჯორჯია გაზი“ სამეგრელო-გურიის
რეგიონალური ოფისის დირექტორი